

მცხეთა - საქართველოს ძველი დედაქალაქი, ადგილი, რომელსაც უკავშირდება ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება. მცხეთიდან იწყება ქრისტიანობის ისტორია საქართველოში. მცხეთაშია დაფლული ქრისტიანულ სინამდეთა შორის ქართველთათვის უდიდესი - უფლის კვართი.

მცხეთის მშენებლობას გადმოცემა ბიბლიური ნოეს შვილთაშვილს, ქართველთა მითიური წინაპრის ქართლოსის ვაჟს, მცხეთოსს მიანერს: „და აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თვისი მცხეთა. ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად“ („ქართლის ცხოვრება“).

Mtskheta, the ancient capital of Georgia and a place linked to the founding of the Georgian state, is also the cradle of Christianity in Georgia. In Mtskheta lies buried the greatest of all the sacred relics in Georgia, the robe of Christ.

Tradition ascribes the founding of Mtskheta to Mtskhetos, the son of Kartlos, the mythical ancestor of the Georgian nation, one of the progeny of the biblical Noah: "and he built a town at the confluence of the Mtkvari and the Aragvi, and gave it his own name, Mtskheta. The town of Mtskheta flourished more than any other and was called the capital city" ("The Life of Kartli", an old Georgian collection of chronicles).



სარიტუალო ირმები სამთავროს სამაროვნიდან, ძვ. წ. XII ს. (საშ-საშ)

Ritual deer from Samtavro burial ground, 12th century BC (GNM-MG)



გახის ობი სამთავროს ძვ. წ. XIII ს. (საშ-საშ)

მცხეთის შესახებ ცნობები მოიპოვება, როგორც ქართულ საისტორიო წყაროებში, ისე ბერძენ, რომაელ, ბიზანტიელ და სომეხ ისტორიკოსებთან. თუმცა მეცნიერული ცოდნა მისი წარმოშობის დროისა და სახელწოდების თაობაზე ჯერაც არასრულია და არაერთგვაროვანი.

არქეოლოგიური მასალა მცხეთასა და მის შემოგარენში დასახლების არსებობას ჯერ კიდევ ძვ. წ. III-II ათასწლეულში ადასტურებს. მეცნიერთა აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის სამოსახლოები ერთ დიდ ქალაქად - „დიდ მცხეთად“ გაერთიანდა. მტკვრისა და არაგვის ხეობებში გაშლილი, მთებით გარშემორტყმული „დიდი მცხეთა“ კოლხეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან მომავალ გზათა შესაყარზე მდებარეობდა. აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები, მათ შორის აბრეშუმის გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთს უკავშირებდა.

Information about Mtskheta can be found in Georgian written sources of history, as well as in the writings of Greek, Roman, Byzantine, and Armenian historians. However, scholarly knowledge concerning the date of its origin and its name is still incomplete and open to different theories.

Archaeological excavations confirm the existence of a settlement in Mtskheta and its environs as early as the 3rd and 2nd millennia BC. According to scholars, by the mid-1st millennium BC the separate areas of habitation had merged into one large city, "Greater Mtskheta". Sprawling along the Mtkvari and the Aragvi rivers and surrounded by mountains, "Greater Mtskheta" was situated at the intersection of the roads from Colchis, the North Caucasus, Armenia and Albania. The world's most important trade routes ran through here, including the Great Silk Route, which connected Western countries to the lands of the Orient.

სამთავროს სამაროვანი,
ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახ.- ახ. წ. VIII-IX სს.

Samtavro burial ground, first half of
the 2nd millennium BC - 8th-9th century AD





სამოსის სამკაული
ნარეკევიდან, ძვ. წ. VI ს. (სმმ-სმ)

Garment adornment from Narekvi,
6th century BC (GNM-MG)

ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ახ. წ. VI საუკუნის დასაწყისამდე მცხეთა ქართლის სამეფოს ცენტრი იყო - „საჯდომელი დიდთა მეფეთა“. ქალაქი მდინარე მტკვრის აქეთ-იქით ორ ნაწილად იშლებოდა: „არმაზით კერძი ქალაქი“ და „მუხნარით კერძი ქალაქი“.

ძველი დედაქალაქის ძირითადი უბნები ახლანდელი მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, აქ იყო არმაზციხე - სამეფო რეზიდენცია (ახლანდელი ბაგინეთი) და საპიტიახშო - ერისთავთა რეზიდენცია (ახლანდელი არმაზისხევი).

From the 4th-3rd centuries BC - to the early 6th century AD Mtskheta was the centre of Kartli (Iberia), "the seat of great kings". The city spread in two directions on both banks of the river Mtkvari: "the Armazi side of town" and "the Mukhnari side of town".

The main quarters of the capital were situated on the right bank of the Mtkvari, with the royal residence at Armaztsikhe (Armazi Castle, modern Bagineti) and the residence of the princes (eristavis, or pitiakhshes), Sapitiakhsho - at modern Armaziskhevi.

თიხის ჭურჭელი ნარეკევიდან, ძვ. წ. XI-VIII სს. (სმმ-სმ)

Pottery from Narekvi, 11th-8th centuries BC (GNM-MG)





1



4

შუბისპირი, სატყვერები და ცულისპირი ნარეკვიდან:
1, 2, 3, 6 (ძვ. წ. XI-IX სს.);

შუბისპირი და კვერთხისთავი სამთავროდან:
4, 5 (ძვ. წ. XIV-XIII სს.). სმშ-სმ

Spearhead, daggers and axe from Narekvi:

1, 2, 3, 6 (11th-9th century BC);

spearhead and staff head from Samtavro:

4, 5 (14th-13th century BC). GNM-MG



2



3




5



6

ბაგინეთი (არმაზციხე). სვეტიტობანი დარბაზი, I-II სს.
Bagineti (Armaztsikhe). Hall with columns, 1st-2nd century



მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობდა თავად მცხეთა (მის უბანთაგან რამდენიმეს სახელი შემორჩა: „მოგვთაუბანი“, „ურიათუბანი“ და უკვე ქრისტიანული ხანის „მთავართა სანათლო“). ოდესღაც ცალკე სა მოსახლეობი - წინამური, სარკინე, ზემო ავჭალა, ნაქულბაქევი, მუხათგვერდ-კარსანი, კალოუბან-კოდმანი, დედაქალაქის ვრცელ შემოგარენს ქმნიდა.

მატიანეთა ცნობით, ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა მტკიცედ მოზღუდა ქალაქი მცხეთა, ქართლოსის საფლავზე აღმართა კერპი არმაზი და მის გარშემო ციხე-სიმაგრის მშენებლობას შეუდგა. „ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა /მთისა/ ქართლისასა და მიერიტან ენოდა არმაზი კერპის მისთვის“ („ქართლის ცხოვრება“). არმაზცხე ქართლის მეფეთა პირველი რეზიდენცია და იმავდროულად ქალაქის შიდაცხე - აკროპოლისი გახდა.

„ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკვდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ („ქართლის ცხოვრება“).

Mtskheta proper lay on the left bank of the Mtkvari (some of the names of old districts, e. g. Mogvtaubani, Uriatubani, and Mtavarta Sanatlo of Christian times survive to the present day). What had once been separate residential areas, Tsitsamuri, Sarkine, Upper Avchala, Nakulbakevi, Mukhatgverdi-Karsani, Kaloubani-Kodmani, made up the environs of the capital.

According to the chronicles, in the early 3rd century BC Kartli's first king, Parnavaz, built strong walls around the city of Mtskheta, erected the idol of Armazi at the burial place of Kartlos, and started building a fortress around it. "He raised the idol, Armazi, on top of Mount Kartli thenceforth called Armazi, after the idol" ("The Life of Kartli"). The Armazi Castle became the first residence of the kings of Kartli, as well as the acropolis of the city.

"Parnavaz was the first king in Kartli of Kartlos' lineage. He spread the Georgian language, and no more was spoken any other tongue, but Georgian, throughout Kartli. And he devised the Georgian alphabet. And Parnavaz died and was buried before the idol of Armazi" ("The Life of Kartli").

ღიალა ბაგინეთიდან, III ს. (სპმ-სმ)

Bowl from Bagineti, 3rd century (GNM-MG)





სარეცლის ფეხები ბაგინეთიდან, II-III სს. (სამ-სამ)


Legs of a bedstead from Bagineti, 2nd-3rd century (GNM-MG)

ძვ. წ. III-I საუკუნეებში არმაზის მთაზე მშენებლობა გააფართოვეს ფარნავაზიანთა დინასტიის მომდევნო მეფეებმა: საურმაგმა, მირვანმა, ფარნაჯომმა და არტაგმა. არმაზციხის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროზე მეფე ფარნაჯომმა მეორე ძლიერი ციხადაელი ააგო - ზედაზენი და აღმართა კერპი ზადენი.

არმაზციხე (ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი მას არმოზიკედ იხსენიებდა) კოლხეთიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან მომავალ გზებს აკონტროლებდა. ზადენის ციხე (იგივე წინამური, სტრაბონის მიხედვით სევსამორა) დარიალისა და არაგვის ხეობებით შემოსული ჩრდილოელი მომთაბარეებისგან იცავდა ქალაქს. „დიდი მცხეთის“ ცალკეულ უბანთა ციხეები, ამ ორ სიმაგრესთან ერთად, დედაქალაქის მთლიან სათავდაცვო სისტემას ქმნიდა. ქალაქს ჩრდილოეთიდან იცავდა ლართისკარ-ბებრისციხე, დასავლეთიდან - ციხედიდი-სარკინე, აღმოსავლეთიდან - ნაქულბაქევ-ზემო ავჭალის სიმაგრეები.

In the 3rd-1st centuries BC construction work on the crest of the Armazi hill was continued by the kings of the Parnavazid line: Saurmag, Mirvan, Parnajom and Artag. King Parnajom built another strong citadel, Zedazeni, opposite the Armazi Castle, on the left bank of the Aragvi, and erected the idol of Zadeni.

The Armazi Castle (mentioned by Strabo, the Greek geographer, as Armozica in his writings) controlled the roads from Colchis, Armenia, and Albania, while the Zedazeni castle, also called Tsitsamuri (Sevsamora by Strabo), protected the city from the northern nomads, who might invade the country through the Dariali and the Aragvi Gorges. These two strongholds together with the fortresses in various quarters of "Greater Mtskheta" made up the entire defence system of the city. To the north the city was protected by the fortresses of Ghartiskari and Bebristsikhe, to the west - by Tsikhedidi and Sarkine, and to the east - by Nakulbakevi and Upper Avchala.



მონატულობის ფრაგმენტი ბაგინეთიდან, I ს. (საშ-სმ)
Fresco fragment from Bagineti, 1st century (GNM-MFA)

„არმაზის ბილინგვა“, II ს-ის II ნახ. (საშ-სმ)
"Armazi Bilingual", second half of the 2nd century (GNM-MG)

ძველი ცივილიზაციის დიდი ქვეყნების მსგავსად, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურა ჰქონდა. საისტორიო წყაროები და მცხეთაში მრავლად ნაპოვნი ეპიგრაფიკული მასალა ნათლად წარმოაჩენს იბერიის სამეფო კარის აღნაგობას, დიდებულთა და მოხელეთა წოდებებსა და მათ ვინაობას.

„მე [ვარ] სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა, ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, [რომელიც] იმარჯვებდა და ამრავლებდა [ადრე] გაკეთებულ საგმირო საქმეებს, [და არის] ეზოსმოდღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი ეზოსმოდღვრისა ფარსმან მეფისა, [რომელმაც] სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა. და, ასე, [სერაფიტი] იყო კეთილი და ლამაზი, რომლის მსგავსი არავინ იყო სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა“ (სერაფიტის საფლავის ქვის წარწერა - ე. წ. არმაზის ბილინგვა).

მეფე, პიტიახში, ეზოსმოდღვარი, სხვა დიდებულნი, სამხედროები, კულტის მსახურნი, ვაჭრები, ხელოსნები, მონები - ასეთი იყო დაახლოებით იმდროინდელი იბერიის საზოგადოება.

Like the great civilizations of ancient times the Kingdom of Kartli had a well-formed social structure. Written historical sources and numerous epigraphic materials found in Mtskheta throw light upon the structure of the Iberian court, the titles of the nobility and the officials, and their identities.

“I [am] Seraphite, daughter of Zevakh the Younger, Pitiakhsh to King Parsman, wife of Iodmangan [who] won victories and multiplied his [earlier] heroic deeds [and is] King Xepharnug’s chamberlain, son of Agrippa, chamberlain to King Parsman, [who] conquered the conquerors that Parnavaz had left unfinished. And, this [Seraphite] was kind and beautiful, whom no one could match in beauty. And died at the age of twenty one” (The epitaph on Seraphite’s tombstone - the so-called Armazi Bilingual).

King, pitiakhsh, chamberlain, other nobles, soldiers, priests, merchants, craftsmen, slaves - all these made up the social structure of old Iberia.

ბაგინეთი. ექვსაფსიდიანი ტაძარი.
ცენტრალური სვეტის კაპიტელი, III-IV სს.

Bogineti. Six-apsed temple.
capital of the central pillar, 3rd-4th century



ქაშის ბალთა, ყულსაბამები, სამაჯური
და ზანჯლის ქარქაში არმაზისხევიდან, II ს. (სემ-სმ)

Belt buckle, necklaces, bracelet and dagger sheath
from Armaziskhevi, 2nd century (GMM-MG)





ბაგინეთი. ორსენაკიანი ნაგებობა, III ს.

Bagineti. Two-cell building, 3rd century

„დიდი მცხეთის“ მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო და მრავალეროვანი. ქართველების გარდა ცხოვრობდნენ ბერძნები, ასირიელები, სომხები, სპარსელები, ხაზარები. განსაკუთრებით დიდი იყო მატიანეთა ცნობით ძვ. წ. 586 წელს, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ, მცხეთას შენიშნული ებრაელების კოლონია.

დედაქალაქი მრავალენოვანიც იყო: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექესი ენა. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“ („ქართლის ცხოვრება“). წერდნენ ორ ენაზე - არამეულად და ბერძნულად. ამასთან, ქართლის სამეფოში ნაპოვნი არამეული დამწერლობის ნიმუშები სრულიად განსხვავებულია, ქართულ გარემოში სახეცვლილი. ისინი „არმაზული დამწერლობის“ სახელითაა ცნობილი.

The population of "Greater Mtskheta" was quite large and cosmopolitan. Greeks, Assyrians, Armenians, Persians, and Khazars lived alongside the Georgians. The colony of the Jews, who, according to the chronicles, had found refuge in Mtskheta after Nebuchadnezzar had sacked Jerusalem in 586 BC, was the largest.

The population of the capital was multilingual: "six tongues were spoken within Kartli. All the monarchs of Kartli, men and women were fluent in these languages" ("The Life of Kartli"). Two languages, Aramaic and Greek, were used for writing. But the examples of the Aramaic writing excavated on the territory of the Kingdom of Kartli are quite different, transformed in the Georgian medium. They are known as "Armazi writing".

არმაზისხევი. აბანო, II ს.

Armaziskhevi. Bath, 2nd century



„დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბნების ნაშთები უეჭველს ხდის ძველ იბერიაში მინათმოქმედების, მევენახეობის, მეთუნეობის, მინის წარმოების, ოქრომჭედლობის განვითარების უმაღლეს დონეს. მცხეთაში მრავლად ნაპოვნი რომაული, პართული, სასანური მონეტები და ძვირფასი ნივთები უცხოეთის ქვეყნებთან ქართლის სამეფოს ცხოველ ურთიერთობას ცხადყოფს.

იბერთა სამშენებლო ხელოვნებაზე წერდნენ სტრაბონი, ვიტრუვიუსი, არიანე, დიონ კასიუსი. ქართლის მეფის კარზე ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის თანამდებობაც კი არსებობდა. „მე ვარ ანი და ოპი. გააკეთა აქილევსმა ხუროთა [უფროსი] რომ არის. ავრელიუს აქოლისი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი. მოსახსენებლად არსპაკორესი“ (ანტიოქიის ეკლესიასთან აღმოჩენილი წარწერა).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდად გადებული ქართლის სამეფო სასურველ მოკავშირეს წარმოადგენდა ისეთი ძლიერი ქვეყნებისათვის, როგორც რომის იმპერია და ირანი იყო. ძვ. წ. 65 წელს პომპეუსის ლაშქრის მიერ არმაზციხის აღების შემდეგ რომმა იბერიასთან მეგობრობისა და მოკავშირეობის პოლიტიკა ირჩია.

The remnants of various quarters of "Greater Mtskheta" indicate the existence of a highly developed agriculture, and viticulture, as well as great skill in pottery, glassmaking, and work with gold, in ancient Iberia. Numerous finds of Roman, Parthian and Sassanian coins, and precious articles demonstrate the dynamic interchange between the Kingdom of Kartli and foreign countries.

Strabo, Vitruvius, Arrianus, and Dion Cassius, all commented on the architectural skill of the Iberians. They even had a post of Head of Artists and Architect at the royal court of Kartli. "I am Alpha and Omega. This is made by Achilles, who is [head] of the builders. Aurelius Akholis, Head of Artists and Architect. In memory of Arspakores" (An inscription excavated at Antiokia Church).

A bridge joining the East and the West, the Kingdom of Kartli was a welcome ally for great powers such as the Roman Empire and Iran. After Armazi Castle was taken by Pompey in 65 BC, Rome chose a policy of friendship and alliance with Iberia.





რომის იმპერატორმა ვესპასიანემ ახ. წ. 75 წელს მცხეთის კედლები გაამაგრა: „იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპუჰის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს“ (იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა ნაქულბაქევიდან).

იმპერატორ ადრიანეს დროს რომთან აქტიურად მებრძოლი იბერიის მეფე, ფარსმან II იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა მოკავშირედ გაიხადა და მისი ქანდაკებაც კი აღმართა რომში, მარსის მოედანზე.

იბერთა სამეფო თავისი ღმერთების პანთეონითაც ძველი სამყაროს ნაწილი იყო. ქართველები ჯერ მზეს, მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს სცემდნენ თაყვანს, „უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“. შემდეგ აღმართეს კერპები გაცი და გა (გაიმ), არმაზი, ზადენი, ბოჩი, აინინა და დანინა. არმაზს მცენიერები მთვარის ხეთურ ღვთაება არმას და სპარსულ ორმუზდს უკავშირებენ, აინინასა და დანინას - რომაულ ვენერასა და დიანას.

The Roman emperor Vespasian fortified the walls of Mtskheta in 75 AD: "These walls have been fortified for King Mithridates of Iberia, son of King Parsman and Iamasaspuh, friend of the Caesar and lover of Romans, and for his people"(An inscription of Emperor Vespasian from Nakulbakevi).

The Emperor Antoninus Pius allied himself with King Parsman II of Iberia, who had fought fiercely against the Romans in Emperor Hadrian's times. He even erected an equestrian statue to the king on the Field of Mars in Rome.

The Kingdom of Iberia was part of the ancient world as far as the pantheon of Iberian gods was concerned as well. The Georgians initially worshipped the sun, the moon, and the five stars, and "they had supreme faith in the shrine of Kartlos". Then they erected the idols of Gatsi and Ga (Gaim), Armazi, Zadeni, Bochi, Ainina, and Danina. Scholars identify Armazi with the Hittite moon deity of Arma and Persian Ormazd, while Ainina and Danina are thought to be identical with Roman Venus and Diana.



2



4



5



3

1. სტილოსები და სტილოსების ბუდე მუზეების გამოსახულებებით; 2. გულსაკიდები; 3. საბეჭდავი დედოფალ ულპიას გამოსახულებით; 4. სამელნის სარქველი მეფე უსტამონისა და ევგენიონის წარწერით; 5. საძელნე; 6. სამელნის ბუდის ფრაგმენტები მენანდრუს, ჰომეროსისა და დემოსთენეს გამოსახულებებით (სვეტიცხოვლის ეზო. III-IV სს.) სპ8-სპ

1. Styluses and case with the figures of the Muses; 2. Pendants; 3. Ring-seal with the portrait of Queen Ulpia; 4. Ink-pot lid with the inscription of King Ustamon and Evgenion; 5. Ink-pot; 6. Fragments of an ink-pot case with the figures of Homer, Menander and Demosthenes (Svetitskhoveli churchyard, 3rd-4th century). GNM-MG



6



ქრისტეს სჯულის მქადაგებლის, წმ. ნინოს შემოსვლამდე ქართლში შვიდ კერპსა და ცეცხლს ემსახურებოდნენ. უზენაესი ღვთაება იყო „ღმერთი ღმერთთა არმაზ“ - კაცი სპილენძისა, ოქროს ჯაჭვითა და ჩაფხუტით მოსილი. მას ზურმუხტისა და ბივრილის თვალები ჰქონდა, „აქვნდა ხმალი ბრწყინვალე ვითარცა ელვა და იქცეოდა ხელთა შინა. უკეთუ ვინმე შეეხებინათ ვი თვისი სიკუდილად განიწირის.“ არმაზციხეზე წამომართულ არმაზს ორთავ მხარეს ედგნენ ქართველთა უძველესი ღმერთები, კაცი ოქროსი - გაცი და კაცი ვერცხლისა - გაიმ.

არმაზის სადიდებლად მცხეთაში გამართულ დღესასწაულს მემპტიანემ „საკვირველება მიუწვდომელი და ენითა გამოუთქმელი“ უწოდა. „გამოვიდოდა ერი ურიცხვი და ამკობდა ყოველსა ფოლოცსა თვითოფერიითა სამოსლებითა და ფურცლითა. აღივსებოდა მთანი დროშითა და ერიითა, ვითარცა ველნი ყვავილითა. და იყო ხმა ოხრისა და საყვირისა და ზარი საშინელი გამოვიდოდა“ („ქართლის ცხოვრება“).

Seven idols and fire were worshipped in Kartli prior to the appearance of St Nino, who brought Christianity to the country. The highest deity was Armazi, the god of gods, a figure of copper in gold chain mail and a golden helmet. It had emeralds and beryls for the eyes, and "had a sword, flashing like lightning, and swinging in his hands. Anybody touching him was doomed to die". Rising high over Armazi Castle, it was flanked on both sides by the oldest Georgian Gods: Gatsi, a figure of gold, and Gaim, a figure of silver.

The chronicle describes the festival held in honor of Armazi in Mtskheta as "unfathomable and indescribable". "Countless multitudes of people would come out and beautify each street with motley cloth and leaf. The hills would be covered with flags and folk, like fields with flowers. And the sound of shrill voices and fanfares made a frightful din" ("The Life of Kartli").

ბაგინეთი. ექვსაფსიდიანი ტაძარი, ქანდაკების კვარცხლბევი, III-IV სს.

Bagineti. Six-apsed temple, pedestal of a statue, 3rd-4th century



ახ. წ. IV საუკუნეში იბერთა სამეფომ სრულიად იცვალა სახე. 320-330-იან წლებში კონსტანტინე დიდის თანამედროვემ, მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ქართლის სამეფო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანა გახდა. საისტორიო ტრადიცია იბერიის გაქრისტიანებას IV საუკუნეში მოსულ წმ. ნინო კაპადოკიელს უკავშირებს. თუმცა ქრისტიანობას საქართველოში საიმდროოდ უკვე დიდი და ღრმა ისტორია ჰქონდა.

გადმოცემით, მაცხოვრის კვართი ჯვარცმის შემსწრე მცხეთელ ებრაელთ სვდით წილად. იგი მცხეთაში რაბინმა ელიოზმა ჩამოიტანა. ელიოზს ქრისტეს სჯულს ნაზიარები მისი და, სიდონია შეეგება ქალაქის ბჭესთან, ხელში აიღო უფლის კვართი და მღელვარებისგან იქვე სული განუტევა. სიდონიას ისე ძლიერ ჰქონდა ჩაკრული უფლის სამოსელი, რომ ვერავინ შეებდა წართმევა და კვართიანად დაკრძალეს - მცხეთის მიწაში უფლის კვართის დაფლვით იწყება, არსებითად, ქრისტიანობის ისტორია საქართველოში.

მატიანეთა ცნობით, I საუკუნეშივე იქადაგეს ქრისტეს სჯული მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა. საქართველოში IV საუკუნემდე ქრისტიანობის არსებობას არქეოლოგიაც ადასტურებს - მცხეთაში II-III საუკუნეების ქრისტიანული სამარხებია ნაპოვნი.

In the 4th century AD the Iberian Kingdom underwent a sweeping change. Around about the 320s-330s King Mirian, a contemporary of Constantine the Great, declared Christianity the state religion and made the Kingdom of Kartli one of the first Christian states. Historical tradition ascribes the conversion of Iberia to St Nino of Cappadocia who came to the country in the early 4th century. However, Christianity in Georgia had had, by that time, a deep-rooted history of long standing.

According to tradition, after the crucifixion of the Saviour, Christ's robe fell to the lot of the Jews from Mtskheta. Rabbi Elioz brought it to Mtskheta with him. At the city gate he was met by his sister Sidonia, who had already been initiated into Jesus' teachings. She took the Saviour's robe in her hands and was so moved that she fell dead on the spot. Sidonia clasped the Saviour's robe so hard to her bosom that nobody dared wring it from her hands, and she was buried with it. Essentially, this event, the burial of the Saviour's robe in Mtskheta, is the beginning of the history of Christianity in Georgia.

According to the chronicles, St Andrew and St Simon the Canaanite were the first to teach the Gospel in Georgia. Archaeology confirms the existence of Christianity in Georgia before the 4th century. Christian tombs dating back to the 2nd-3rd centuries have been excavated in Mtskheta.

ქვაკუთი ჯვრის გამოსახულებით წინამორიდან, IV ს-ის I ნახ.

Cist with a cross from Tsitsamuri, 1st half of the 4th century





სვეტიცხოველი, სვეტი უფლის კვართის დაფლვის ადგილას
Svetitskhoveli. Pillar erected upon the burial of the roba of Jesus

IV საუკუნეში ღმერთისმშობლის წილხვედრი ქართლის მოსაქცევად წმ. ნინო მოვიდა. იგი მცხეთაში ექვსი წლის მანძილზე ქადაგებდა ჭეშმარიტ რწმენას და წმინდა ჯვრის ძალით უამრავ სასწაულს ახდენდა. მან ქრისტესადმი აღვლენილი ლოცვით დაამხო წარმართული კერპები და მრავალი სნეული განკურნა, მათ შორის - დედოფალი ნანა. ერთ-ერთ სასწაულს უკავშირდება მეფე მირიანის მოქცევაც.

მუხნარის სანახებში სანადიროდ წასული მეფე უეცრად წყვდიადმა მოიცვა, „იქმნა ვითარცა ღამე ბნელი უკუნი“. მხოლოდ ნინოს ღმერთის ხსენებით გაიფანტა სიბნელე და მზე გამობრწყინდა თხოთის მთაზე. მირიან მეფემ ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა და ქრისტიანად მონათვლა ინება. მისი თხოვნით, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მცხეთას წარგზავნა „მღვდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“. მათ, წმ. ნინოსთან ერთად, მონათლეს მეფე მირიანი, დედოფალი ნანა, კარის დიდებულნი და მთელი ერი; აკურთხეს ეკლესიანი და ქართლში ქრისტიანული მსახურება დაადგინეს.

In the 4th century St Nino came to Kartli to convert the country allotted to the Virgin. She taught the true faith for six years, working miracles with the power of the Holy Cross. She destroyed the pagan idols by praying to Jesus, and healed the sick, Queen Nana among them. The conversion of King Mirian is also associated with a miracle.

The king was hunting near Mtskheta, when all of a sudden, he found himself in complete darkness. "It grew pitch-dark like a murky night". Only by uttering the name of Nino's God could the night be dispersed, and the sun made to shine again on Tkhoti hill. King Mirian accepted the True God and expressed a wish to be baptised. At his request Constantine the Great, Emperor of Byzantium sent "an orthodox priest, Ioane, as a bishop, with two priests and three deacons". They all, together with St Nino, baptised King Mirian, Queen Nana, their courtiers and the people of Kartli, sanctified the churches, and established Christian rule in Kartli.

სამთავრო. წმ. ნინოს ეკლესია, ადრექრისტიანული ხანა

Samtavro. Church of St Nino, early Christian times





სვეტიცხოველი. სვეტის მოხატულობა, 1678-1688 წწ.
 მირიან მეფისა და ნანა დედოფლის დაბრუნება ნადირობიდან

Svetitskhoveli. Paintings on the Lifegiving Pillar, between 1678 and 1688.
 King Mirian and Queen Nana returning from hunting

ქართლის მოქცევის უმთავრესი სასწაულები სვეტიცხოვლის უძველესი ხის ეკლესიის აგებას უკავშირდება. წყაროთა ცნობით, ტაძარი წმ. ნინოს რჩევით სამეფო ბაღში უნდა აშენებულიყო, იქ, სადაც სიდონიას საფლავზე აღმოცენებული ლიბანის ნაძვი იდგა. ხე მოკვეთეს და სვეტად შეამზადეს, მაგრამ ხუროებმა მას ძვრა ვერ უყვეს. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვით აღმართა ანგელოზმა, შემდეგ კი თავადვე დაემყარა „ცეცხლის სახედ ძირსა თვისსა“. სასწაულმოქმედ სვეტს სიცოცხლის მომნიჭებელი მირონი სდიოდა - ეს იყო „სვეტი ცხოველი“.

სვეტის იმდროინდელი სასწაულების ამბავს ქართველი მემატინანების გარდა, ბერძენი და რომაელი ავტორებიც წერდნენ. წყაროთა ცნობით, სვეტი საუკუნეთა შემდეგაც აკვირვებდა ყველას თავისი სასწაულებრივი ნათლით, მისთვის უსჯულო მომხდურთაგანაც ვერავის შეუბედია ხელყოფა.

ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად დედაქალაქმა თანდათანობით მნიშვნელოვნად იცვალა სახე. თუკი წარმართული მცხეთის ცენტრი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო, ქრისტიანობის მიღებისთანავე ფართოდ გაშლილმა აღმშენებლობამ მდინარის მარცხენა ნაპირას, უფლის კვართის სამყოფელის გარშემო მოიყარა თავი.

The most significant of the miracles related to the conversion of Kartli is connected with the building of the old wooden church of Svetitskhoveli. According to the written sources of history the church was going to be built, on St Nino's instructions, in the royal gardens, where a cedar of Lebanon grew upon Sidonia's grave. The tree was cut down and prepared for the pillar of the church, but the builders were unable to move it an inch. Only after St Nino's prayer did angels lift it up in the air, and it settled down in its place, spouting flames at the bottom. The miraculous pillar exuded a life-giving balm.

The miracles of those times, worked by the pillar, were described by Georgian chronicles, as well as by Greek and Roman authors. According to written sources even after centuries the pillar amazed everybody with its miraculous radiance. Even the pagan invaders never dared to defile it.

The establishment of Christianity brought about important changes in the capital. Formerly, the centre of the pagan city had been situated on the right bank of the Mtkvari. Now, after the adoption of Christianity, intensive building activity commenced on the left bank, focusing on the area around the burial place of the robe of Jesus.

ქალაქს სამი კარი ჰქონდა: მოგვთა, მუხნარისა და არაგვისა. მის შესასვლელს კი ამიერიდან, ციხე-სიმაგრეებთან ერთად, ქრისტიანობის ბურჯად აღმართული ტაძრები იცავდა - „აღიმართა ცხოველსმყოფელნი ჯვარნი ქრისტეს მეუფისა დასამხოებლად მტერთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ჩრდილოეთით სამთავრო იყო; იქვე, „კართა ზედა არაგვისათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლონი“ - ეკლესია სტეფანწმინდისა; დასავლეთით - გეთსიმანია; აღმოსავლეთით - ჯვრის მონასტერი; მტკვრისა და არაგვის შესართავთან - ანტიოქია; შუაგულში კი ქართველთა მთავარი სალოცავი, ეკლესიათა შორის უპირველესი, უფლის კვართზე აღმართული სვეტიცხოველი იდგა.

The city had three gates: Mogvtakari - the gate of the magi, the Mukhnari gate, and the Aragvi gate. In addition to the fortifications, the city entrances were now also guarded by churches raised as bulwarks of Christianity. "Life-giving crosses of our Lord Jesus Christ were erected so as to defeat the enemies" (Vakhushti Bagrationi).

To the North was Samtavro Cathedral; not far away, "upon the Gate of the Aragvi, where the fighting towers were strong", stood Stepantsminda - St Stephen Church; the church called Getsimania stood to the west, and soaring to the east was Jvari - Mtskheta Holy Cross Monastery. At the confluence of the Mtkvari and the Aragvi there stood the church called Antiokia; and in the middle rose Svetitskhoveli Cathedral, the holy shrine of the Georgians, the first among the churches, built upon the robe of Jesus Christ.

ანტიოქია, არაუგვიანეს VI ს-ისა

Antiokia, prior to the 6th century





გეთსიმანია, V ს.


Getsimania, 5th century

მცხეთის პირველი ეკლესიების მშენებლობა წმ. ნინოს მოღვაწეობის ადგილებთან არის დაკავშირებული: მატჩიანეთა ცნობით, მირიან მეფემ ააგო სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი „გარეგნივ ზღუდესა მაცყალთა მათ ზედა საყოფელსა წმიდისა ნინოსსა“. ეკლესია, სახელად ბეთლემი ააგეს მღვიმეში, იმ ადგილას, სადაც მტკვრის პირას მოინათლა ქართველი ერი. წმ. ნინოს მიერ მაცხოვრის ფერისცვალების დღეს კერპთა შემუსვრის აღსანიშნავად აიგო თაბორის ეკლესია. მცხეთის მოპირდაპირე მთაზე, მტკვრისა და არაგვის შესაყართან, წმ. ნინოს ლოცვის ადგილას აღმართა მირიან მეფემ ხის დიდი ჯვარი, შემდგომ კი აშენდა ჯვრის მცირე და დიდი ტაძრები - გოლგოთად წოდებული. იმავე მთაზე აიგო ეკლესია წმ. ნინოს ლოცვით აღმოცენებულ სწულთა მკურნალ წყაროსთან.

მცხეთის უადრეს ეკლესიათა სახელები მომლოცველებს წმინდა მინასთან აახლოვებდა. მცხეთა მეორე იერუსალიმად განიჭდებოდა და უმთავრესი მიზეზი ამისა, ცხადია, სვეტიცხოველი იყო - ქალაქის შუაგულში, უფლის კვართზე - როგორც უფლის საფლავზე აღმართული. ამიტომაც სვეტიცხოველის ტაძრის შიგნით, უფლის კვართის სიახლოვეს, გაცილებით გვიან - XV საუკუნეში იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიას მიმგვანებული პატარა სამლოცველოც კი ააგეს.

The first churches in Mtskheta were built at the sites connected with the activity of St Nino. The chronicles narrate how King Mirian built the bishop's church at Samtavro "outside the wall, upon the blackberry bush, the abode of St Nino". Bethlemi Church was built in a cave at the place where the Georgians were baptised on the bank of the river Mtkvari. Tabori Church was built in commemoration of the destruction of the idols by St Nino. On a high hill across the river from Mtskheta, at the confluence of the Mtkvari and the Aragvi, King Mirian erected a great wooden cross, onto which later the bigger and a smaller churches of the Holy Cross were built, known as Golgotha. A chapel on the same hill was built at the place where St Nino's prayers caused a medicinal spring to gush out of the ground.

The names of the earliest Mtskheta churches brought the worshippers closer to the Holy Land. Mtskheta affected them a the second Jerusalem mainly owing to Svetitskhoveli, rising high in the centre of the city over the robe of Jesus, as if over His grave. For the same reason, a chapel - a copy of the Church of the Holy Sepulchre of Jesus Christ in Jerusalem, was built much later, in the 15th century inside Svetitskhoveli Cathedral, close to the robe of Jesus.



ჯვრის მონასტერი

Jvari (Mtskheta Holy Cross) Monastery




ႵႱႰႱႰႱ
ႱႱႱႱႱႱႱ
ႱႱႱႱႱႱႱ
ႱႱႱႱႱ
ႱႱႱႱႱ


ჯვრის ტაძარი. სამხრეთი ფასადი
Jvari Church. South facade











პირველი ქრისტიანი მეფეების მიერ აშენებულ მრავალრიცხოვან ეკლესიებს VI საუკუნიდან ასურელი მამების მიერ დაარსებული მონასტრებიც შეემატა. სწორედ ე. წ. ათცამეტ ასურელ მამათა მოღვაწეობით დაიწყო მეუდაბნოეობის ისტორია საქართველოში. წმ. მამათა მიერ შექმნილ უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერათაგან ორი მცხეთის სიახლოვეს იყო: ზედაზენი - წმ. იოანეს სამყოფელი იმ მთაზე, სადაც ოდესღაც ზადენის კერპი იდგა და შიომღვიმე, რომელიც წმ. იოანეს მონაფემ, წმ. შიომ დააარსა იქვე, ქალაქის შემოგარენში.

Monasteries founded by the Syrian Fathers in the 6th century were added to the numerous churches built by the first Christian kings of Kartli. The activity of the Thirteen Syrian Fathers gave rise to the tradition of hermits in Georgia. Two of the important religious centres founded by these Holy Fathers were in the environs of Mtskheta: Zedazeni, the abode of St Ioane, on the crest of a hill where once the Zadeni idol had stood, and Shiomghvime, founded by St Ioane's disciple, St Shio, in the neighbourhood of the city.

ზედაზენის მონასტერი. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, 760-770-იანი წწ.

Zedazeni Monastery. Church of St John the Baptist, between 760 and 780





ზედაზენი. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია,
წმ. იოანე ზედაზნელის ეგვტერი, 570-იანი წწ.

Zedazeni. Church of St John the Baptist,
Chapel of St Ioane Zedazneli, 570s



ანკელის ფილა შიომღვიმის წმ. იოანე ნათლისმცემლის
ეკლესიიდან, 1010-1033. ჯვარცმა (სამ-ბმ)

Altar screen slab with the Crucifixion from the church of St John the Baptist
at Shiomghvime, between 1010 and 1033, (GNM-MF)






შოიშვიძე, ჯვრის ამაღლების ეკლესიის
მოხატულობა, XIII ს. ეკლესიის მამა

Shiomghvime. Murals in the Church of the Ascension
of the Cross, 13th century. Church Father





კოდმანი. წმ. დემეტრეს ეკლესია, XVIII ს.

Kodmani. Church of St Demetre. 18th century



მონასტერი ახალქალაქური. ღმრთისმშობლის ეკლესია, XII ს.

Akhalkalaki Monastery. Church of the Virgin, 12th century



ბებრისციხე, ადრეული შუა საუკუნეები

Bebristsikhe, early Middle Ages

736-738 წლებში მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობით დასრულდა მცხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი - მცხეთამ, როგორც ქალაქმა არსებობა შეწყვიტა. იგი მტკვრისა და არაგვის შესართავთან სამკუთხა კონცხზე არსებულ მცირე დასახლებად იქცა.

მიუხედავად ამისა, ძველ დედაქალაქში საეკლესიო ცხოვრება არც შემდგომ შეწყვეტილა. საუკუნეთა მანძილზე, ძნელბედობისა თუ ქართული სამეფოს სიძლიერის დროს, შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, მიმდინარეობდა ცხოველი სასულიერო და სამწერლობო მოღვაწეობა.

ქართული ეკლესია ქრისტიანულ სამყაროში სულ უფრო დიდ ავტორიტეტს იხვეჭდა. ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის გამარჯვების უამს VIII საუკუნეში სწორედ მცხეთის საკათედრო ტაძარში აკურთხა ქართლის კათალიკოსმა იოანე გუთელ (ყირიმის) ეპისკოპოსად. IX საუკუნის შუა ხანიდან მცხეთის საკათალიკოსოს სვეტიცხოველში მირონის მომზადებისა და კურთხევის უფლება მიენიჭა.

The devastating invasion of the Arabs, led by Marwan II ibn Muhammad "the deaf" from 736 to 738, put an end to an important phase in the history of Mtskheta: it ceased to exist as a city, and turned into a little settlement on the triangular cape jutting out into the water at the confluence of the Mtkvari and the Aragvi.

However, religious activity never stopped in subsequent periods. For centuries, in good times or bad times, churches were built and murals were painted, and active theological and literary work continued.

The Georgian Church gained more and more authority in the Christian world. In the 8th century during the iconoclastic period in Byzantium, John, the Bishop of the Goths (Crimea), was ordained in Mtskheta Cathedral by the Catholicos of Kartli. From the mid-9th century the Mtskheta Catholicate was granted the right to prepare and consecrate the balm in Svetitskhoveli.






კალოუბანი. წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, XII ს-ის შუა ხანა. წმ. დემეტრე

Kaloubani. Murals in the Church of St George, mid-12th century. St Demetre



კალოუბანი. წმ. გიორგის ეკლესია, IX-X სს.

Kaloubani. Church of St George, 9th-10th century





სვეტიცხოველი, 1010-1029 წწ.

Svetitskhoveli Cathedral, from 1010 to 1029



სვეტიცხოველი. ინტერიერი, ხედი გუმბათიდან

Svetitskhoveli. Interior, view from the dome

მცხეთის საყდრის მნიშვნელობა საქართველოსთვის განუზომლად დიდი იყო. XI საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფოს გაერთიანებას ეკლესიის გაერთიანება უძღოდა წინ - დასავლეთი საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლისას გამოეყო და მცხეთის საკათალიკოსოს შეუერთდა.

ქრისტიანული მცხეთის ისტორია არსებითად საკათალიკოსოსა და წმინდა სავანეების ისტორიაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი - სვეტიცხოველი იყო. ამიტომაც საქართველოს თითქმის ყველა მეფე და კათალიკოსი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მის გასრულება-გამშვენებაში. სვეტიცხოველს ამშვენებდნენ, აღადგენდნენ და სწირავდნენ - მელქისედეკ კათალიკოსი, მეფე ბაგრატ III, გიორგი I, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი, ვახტანგ VI, როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი, ერეკლე II და სხვა მრავალი.

The role of the Mtskheta Catholicate was enormously important for Georgia. The unification of the Kingdom of Georgia was preceded by the unification of the Georgian Church. By the early 11th century the western Georgian Church ceded from Constantinople and joined Mtskheta.

The history of Mtskheta in Christian times is the history of the Catholicate, of cloisters and churches. The most important of these was Svetitskhoveli, the Cathedral of the Catholicate. Almost every Georgian king and catholicos tried to do his share in improving the cathedral and beautifying it. Svetitskhoveli was restored and embellished, and given offerings by the Catholicos Melchisedec, the Kings Bagrat III, Giorgi I, Giorgi the Illustrious, Aleksandre I (the Great), Vakhtang VI, King Rostom and Queen Mariam, Erekle II, and many others.



სვეტიცხოველი. ინტერიერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთისკენ

Svetitskhoveli. Interior. view towards the southwest



სვეტიცხოველი. სამხრეთი ბურჯის მოხატულობა, XVII ს-ის შუა ხანა. მარიამ დედოფალი და უფლისწული ოტია

Svetitskhoveli. Paintings on the south pillar, mid-17th century. Queen Mariam and Prince Otia



სვეტიცხოველი. დასავლეთი ფასადი

Svetitskhoveli. West facade



სვეტიცხოველი. რელიეფები სამხრეთ ფასადზე

Svetitskhoveli. Reliefs on the south facade

სვეტიცხოველი იყო ადგილი, სადაც ქართველი ბაგრატიონები მეფედ ეკურთხებოდნენ. სვეტიცხოველში იკრძალებოდნენ საქართველოს მეფეები, სამეფო გვარის წარმომადგენლები, კათალიკოს-პატრიარქები. აქ ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი ვახტანგ გორგასალმა და საქართველოს უკანასკნელმა მეფეებმა, ერეკლე II-მ და გიორგი XII-მ.

მცხეთაში სასულიერო მოღვაწეობა გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრიობა, ქართულმა ეკლესიამ კი ავტოკეფალია დაკარგა. მაშინაც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას შიომღვიმე. სამთავრო, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის - მირიანისა და ნანას განსასვენებელი, დედათა მონასტერი გახდა. უფლის კვართზე აღმართული სვეტიცხოველი კვლავაც ერის სულიერი ერთობის განსახიერებად განიცდებოდა - სწორედ ამიტომ 1917 წლის 25 მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სვეტიცხოველის ტაძარში მოხდა. ქართველებისთვის სვეტიცხოველი დღესაც უპირველესია ტაძართა შორის, მცხეთა კი - ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთიანად მომცველი. მცხეთა ქართველთა საამაყო წარსულის სიმბოლოდ ქცეული ქალაქია.

Svetitskhoveli was the place where the Georgian Bagrationis were ordained kings. Georgian monarchs, members of the royal family, and catholicos-patriarchs were buried in Svetitskhoveli. This church is the final resting-place of King Vaxtang Gorgasali and of the last Georgian kings, Erekle II and Giorgi XII.

Religious life in Mtskheta continued even in the 19th century, when Georgia lost its independent statehood, and the Georgian Church lost its autocephaly. Shiomghvime monastery was as important as ever. Samtavro, the burial place of the first Christian Georgian king and queen, Mirian and Nana, became an important convent. Svetitskhoveli, standing on the robe of Jesus, was still felt to embody the spiritual unity of the nation. That is why the restoration of the autocephaly of the Georgian Church was enacted in Svetitskhoveli Cathedral on March 25, 1917. Svetitskhoveli still remains the holiest shrine of the Georgians, and the city of Mtskheta primarily represents the centuries-old history of the country. In the mentality of a Georgian Mtskheta is the symbol of Georgia's glorious past.

1. სამთავროს სამაროვანი

კავკასიაში უდიდესი ძველი სასაფლაო მდებარეობს ქ. მცხეთაში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, ბებრისციხიდან სამთავროს მონასტრამდე გაშლილ მიწოდორზე. სამაროვნის არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1874 წ-ს და დღემდე გრძელდება. აქ აღმოჩნდა სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ტიპის 4000-ზე მეტი სამარხი, რომლებიც რამდენიმე იარუსადაა განლაგებული. უძველესია შუა ბრინჯაოს ხანის გორა-სამარხები (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახ.). ვანსაკუთრებით მრავალრიცხოვანია გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის (ძვ. წ. XIV-VI სს.) ორმო-სამარხები. ძვ. წ. II-ახ. წ. I სს-ში სამთავროს სამაროვანზე მიცვალებულებს ძირითადად ქვევრებში კრძალავდნენ. ჩვენი ნელთალრიცხვის დასაწყისში სამარხებს აგებდნენ კრამიტით, აგურით ან ქვის ფილებით. სამთავროს სამაროვნის უგვიანესი ქვაყუთები VIII-IX სს-ით თარიღდება.

სამაროვნის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც დღეს სამთავროს მონასტერია, III-IV სს-ში იბერიის მეფეთა ოჯახის წევრებს მარხავდნენ.

სამაროვნის ჩრდილოეთ ბოლოში გათხრილია I-III სს-ის სამარხები - ქვით ნაგები აკლამა, ქვაყუთები, კრამიტყუთები; ძვ. წ. II-I სს-ის შენობათა ნაშთები, მიმდებარე ბორცვებზე კი - ძვ. წ. VIII-VII სს-ის ნახევრადმინური სახლები. აქვე აღმოჩენილი II-IV სს-ის გერაული და ბერძნული ეპიტაფიებიდან საყურადღებოა ხუროთმოძღვრისა და მხატვართუფუცესის ავრელიუს აქილისის და მისი მეუღლის ბეგრატორიას IV სს-ის საფლავის ქვის წარწერა (სმმ-სმ).

სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილია თიხის, ლითონისა და მინის ჭურჭელი, ბრინჯაოს და რკინის იარაღ-საჭურველი, სამკაულები და სხვა (სმმ-სმ; მმმ).

1. SAMTAVRO BURIAL GROUND

The largest ancient burial ground in the Caucasus is situated in Mtskheta, on the left bank of the Aragvi, in a field stretching from Bebristsikhe Castle to the Samtavro Convent.

Archaeological excavations of the burial ground started in 1874 and are still continuing. More than four thousand burials of various types and various period have been discovered, lying in several strata. The oldest of these are Bronze Age tumuli dating from early 2nd millennium BC. The Late Bronze and Early Iron Age pit burials, dating from the 14th-6th centuries BC, are the most numerous. From the 2nd century BC to the 1st century AD the dead were mostly buried at Samtavro cemetery in wine jars. In the early



1st century AD the tombs were built with tiles, bricks or stone slabs. The latest cists of the Samtavro cemetery date back to the 8th-9th centuries.

The south part of the burial ground, the place where the Samtavro Convent stands today, was used for the burial of the Iberian royal family in the 3rd-4th centuries.

Excavations in the northern part of the burial ground have revealed burials dating from the first three centuries AD and include a stone tomb, cists, tile-box structures and fragments of buildings from the last two centuries BC, as well as remains of semi-dugout dwellings on the neighbouring hills, from the 8th-7th century BC. The most significant of the 2nd-4th century Hebrew and Greek epitaphs, uncovered at the burial ground, is the one of Aurelius Akholis, Architect and Head of Painters, and his wife Bevrazuria, which is kept at the GNM-MG.

The archaeological finds uncovered in the tombs include earthenware, iron and glass vessels, bronze and iron arms and armour, jewellery, etc. (kept at the GNM-MG and the MMEA).

2. ბაგინეთი (არმაზციხე)

ძველი მცხეთის შიდა ციხე (აკროპოლისი), ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია მდებარეობს მაღალ გორაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მტკვრისა და არაგვის შესართავის პირდაპირ.

იბერიაში მტკვრის პირას კლდეზე აღმართულ ქალაქს მოიხსენიებენ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები: სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემეოსი და დიონ კასიუსი. ქართული საისტორიო კრებულის - "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, არმაზციხე აუშენებია ქართლის მეფე ფარნავაზს ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში. მან არსებობა ადრეულ შუა საუკუნეებში შეწყვიტა. მცირე გათხრები არმაზციხეზე ჩატარდა ჯერ კიდევ 1890 წ-ს. გამოვლინდა ალიზის გალავნის ქვის საფუძვლებიანი



